

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი

დამსაქმებელთა დამოკიდებულების კვლევა პროფესიული
განათლების მიმართ

ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიში

ბათუმი 2020

მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს „პროფესიული განათლების მიმართ დამსაქმებელთა დამოკიდებულების კვლევის“ ანგარიშს. ანგარიში მომზადებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ.

„პროფესიული განათლების მიმართ დამსაქმებელთა დამოკიდებულების კვლევა“ ჩატარდა 2019 წლის სექტემბერ-დეკემბრის თვეში. მასში მონაწილეობა მიიღეს პროფესიული სტუდენტების პოტენციურმა დამსაქმებელმა ორგანიზაციებმა. რაოდენობრივი კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ორგანიზაციების დამოკიდებულებების შესწავლა ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართ.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ორგანიზაციების დამოკიდებულებების შესწავლა ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართ.

კვლევის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრა კვლევის შემდეგი ამოცანები:

- ბსუ-ს სტუდენტების/ კურსდამთავრებულების დასაქმების/სტაჟირებაზე ან პრაქტიკაზე აყვანის გამოცდილების შესწავლა;
- ბსუ-ს სტუდენტების/ კურსდამთავრებულების დასაქმების ან სტაჟირების მიმართ დამოკიდებულება და სამომავლო განზრახვები;
- ბსუ-სთან თანამშრომლობის გამოცდილება და ურთიერთობის ფორმები;
- პროფესიული განათლების მიმართ ზოგადი დამოკიდებულებების შესწავლა.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებული იყო რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, კვლევა ჩატარდა Google Form-ის გამოყენებით.


კვლევისათვის საჭირო ინფორმაციის მისაღებად კვლევის სამიზნე ჯგუფად განისაზღვრა პროფესიული სასწავლებლების სტუდენტების და/ან კურსდამთავრებულების პოტენციური დამსაქმებლები. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ორგანიზაციაში კადრების შერჩევასა და დასაქმებაზე პასუხისმგებელმა პირებმა (კომპანიის ხელმძღვანელი, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, ა.შ.).

11 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 52 (36) გამოკითხვა იხ. დიაგრამა #1.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო კომპანიებმა:

- „აჭარის ტელევიზია და რადიო“
- შპს „ბათუმის რეფერალური ჰოსპიტალი“
- შპს „ბათუმის საერთაშორისო ჰოსპიტალი (BAU)“
- შპს „საბატა“
- შპს „ტექნომედი“
- შპს "ივიჯი"
- შპს „ექსბი“
- შპს „ვესტ ჯორჯიას კორპორაცია“
- კიბერ სოლუშენ
- ტექნიკის სახლი
- West Georgia Corp
- შპს გიგი
- საქართველოს ბანკი(სოლო დეპარტამენტი)
- სს ლიბერთი ბანკი
- შპს Skytel
- შპს "TV ERA"
- შპს გლობალნეტ-2014
- შპ რემონტი+
- შპს ჯმს 4
- შპს ნიუ-ლაინ
- შპს „ბუტიკე დე მარიაჟე“
- შპს „მიკელ“
- შპს „მოდერნ ტექსტილი“
- ა(ა)იპ „ბათუმის ბოტანიკური ბაღი“
- ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვალფეროვნების ინსტიტუტი
- სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტო“
- „ჯარას მეფუტკრეთა ასოციაცია“
- „აჭარის მეფუტკრეობის ბიზნეს ასოციაცია“
- ასოციაცია „დასავლეთ საქართველოს მეფუტკრეთა ალიანსი“
- კოოპერატივი "სკა"
- კოოპერატივი "ოცნება"
- ს.პ.ს.„ბაკურიძე და კომპანია"
- შპს „Gold pharm"
- შპს „გვირილა-2"
- შპს „ვიტა-ფარმი"
- შპს „ჰეკატე"

დიაგრამა #1: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები რომლის ფარგლებშიც გამოიკითხა ორგანიზაციები



კვლევის ინსტრუმენტი


კვლევის მიზნების შესაბამისად შემუშავდა რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტი. კითხვარი შედგებოდა რამდენიმე თემატური კითხვისაგან:

- გამოკითხული ორგანიზაციის მახასიათებლები (საქმიანობის სფერო, დასაქმებულთა რაოდენობა);
- პროფესიულ სასწავლებლის სტუდენტების/კურსდამთავრებულების დასაქმების/სტაჟირებაზე აყვანის გამოცდილება;
- პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობის ფორმები;
- პროფესიული განათლების მქონე სტუდენტების/კურსდამთავრებულების პროფესიული უნარების შეფასება;
- კადრების მოძიების გზები და ყველა რთულად მოსაძიებელი პროფესიები;
- საინფორმაციო წყაროები - პროფესიული განათლების შესახებ არსებული საინფორმაციო წყაროების შესახებ ინფორმირებულობა.
- ზოგადი დამოკიდებულებები პროფესიული განათლების მიმართ;

კვლევის შედეგები


ჩატარებული კვლევის მიხედვით, გამოკითხული ორგანიზაციების 58% (27) არის შპს, ინდ. მეწარმე 2% (1), სააქციო საზოგადოება 4% (2), ხოლო სხვა ტიპის ორგანიზაცია 36% (17). იხ. დიაგრამა #2.

დიაგრამა #2: გამოკითხული ორგანიზაციები სამართლებრივი ფორმების მიხედვით




კვლევის მიხედვით, გამოკითხული ორგანიზაციები საქმიანობის მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: განათლება 2% (1), საფინანსო საქმიანობა 4% (2), ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა 8% (4), ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი 12% (6), ჯამრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება 13% (7), სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა 13% (7), ხოლო სხვა ტიპის საქმიანობით დაკავებულია ორგანიზაციების 48% (25). იხ. დიაგრამა #3.

დიაგრამა #3: კომპანიები საქმიანობის ძირითადი სფეროს მიხედვით




რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას გამოკითხულ კომპანიებში, მათ 31%-ს (16) ჰყავს 101 თანამშრომელი და მეტი, 33%-ში (17) თანამშრომლების რიცხვი 1-9 თანამშრომელია, 23% (12) კი 26-50 თანამშრომლით არის წარმოდგენილი, ხოლო 51-100 თანამშრომლით წარმოდგენილია კომპანიების 7% . იხ. დიაგრამა #4.

დიაგრამა #4: თანამშრომელთა რაოდენობა კომპანიაში




დასაქმების მიზნით პროფესიული განათლების დონის კვალიფიციური პერსონალის მოძიების ყველაზე გავრცელებული გზა პროფესიულ სასწავლებელთან ურთიერთობაა, რომელიც 45%-ს (24) შეადგენს. ასევე გამოკითხულების 21% (11) საკუთარი სურვილით მიმართავენ ორგანიზაციებს, შესაბამისი კადრის მოსაძიებლად ინტერნეტ გვერდზე განათავსებს განცხადებას ორგანიზაციების 17% (9), 8% (4) აცხადებს, რომ უკვე დასაქმებულებს მოჰყავთ ახალი კადრები, პასუხის გაცემა უჭირს გამოკითხულ ორგანიზაციათა 2%-ს (1), ხოლო მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, პრაქტიკულად, არ განიხილება, როგორც საშუალება პროფესიული განათლების მექანე კადრის დასასაქმებლად. იხ. დიაგრამა #5.

დიაგრამა #5: საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც ეძებენ პროფესიული განათლების დონის კვალიფიციურ პერსონალს დასაქმების მიზნით




ჩატარებული კვლევის თანახმად, გამოკითხული ორგანიზაციების 98%-ს აქვს გარკვეული ინფორმაცია საქართველოში მოქმედ პროფესიულ სასწავლებლებზე. მათ შორის, 63% აღნიშნავს, რომ კარგად იცნობს პროფესიულ სასწავლებლებს. ისეთი ორგანიზაციების რიცხვი, რომლებსაც საერთოდ არ აქვთ ინფორმაცია საქართველოში მოქმედი პროფესიული სასწავლებლების შესახებ, არ აღემატება 2%-ს. იხ. დიაგრამა #6

დიაგრამა #6: ინფორმაცია საქართველოში მოქმედ პროფესიულ სასწავლებლებზე




გამოკითხულების მოსაზრებები არათანაბრად იყოფა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად პრესტიჟულია პროფესიული განათლება. რესპონდენტების 71% (37) დარწმუნებულია პროფესიული განათლების პრესტიჟულობაში, ხოლო 21%-ს (11) ორგანიზაციას უჭირს პასუხის გაცემა. მხოლოდ გამოკითხულების 8% (4) თვლის, რომ არაპრესტიჟულია. იხ. დიაგრამა #7.

დიაგრამა #7: პროფესიული განათლების პრესტიჟულობა




პროფესიული განათლების შესახებ ინფორმაციის მიღების ძირითადი წყარო კოლეგებია - მას ასახელებს გამოკითხულების 35% (29). ასევე, საკმაოდ ხშირად გამოყენებული წყაროებია ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი 32% (26) და სოციალური ქსელები 16% (13). დანარჩენი წყაროების დასახელების მაჩვენებელი დაბალია და არც ერთ შემთხვევაში არ აღემატება 8%-ს. იხ. დიაგრამა #8.

დიაგრამა #8: ინფორმაციის წყაროები პროფესიული განათლების შესახებ




გამოკითხულ კომპანიების 56% (29) იცნობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, 21% (11) ნაწილობრივ იცნობს, 10% (5) აღნიშნა, რომ აუცილებლად გაეცნობა, ხოლო კომპანიების 13% (7) პროფესიულ პროგრამებს არ იცნობს. იხ. დიაგრამა #9.

დიაგრამა #9: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცნობადობა




გამოკითხული ორგანიზაციების 85%-ს (44) ამბობს, რომ პროგრამების ხანგრძლივობა რეალურია, 11% (6) ფიქრობს, რომ ნაწილობრივ რეალურია, ხოლო ორგანიზაციების 4% (2) აღნიშნავს პროგრამების ხანგრძლივობის სიმცირეს. იხ. დიაგრამა #10.

დიაგრამა #10: პროფესიული პროგრამების ხანგრძლივობა




პრაქტიკულის კომპონენტის ადეკვატურობას პროგრამასთან მიმართებაში რესპოდენტთა 81% (42) ასახელებს, ნაწილობრივ აფასებს გამოკითხულთა 19% (10). იხ. დიაგრამა #11.

დიაგრამა #11:




დიაგრამა #12:



გამოკითხულ ორგანიზაციათა 69% (36) მზადაა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირები მიიღოს სტაჟირების/საწარმოო პრაქტიკის გასავლელად, ხოლო 31% (16) უარს აცხადებს. იხ. დიაგრამა #13

დიაგრამა #13: კომპანიების მზადყოფნა შეზღუდული შესაძლებლობის ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების სტაჟირება/საწარმოო პრაქტიკაზე გასავლელად



გამოკითხული ორგანიზაციების 83% (43) მზად არის იმისათვის, რომ ბსუ-ს პროფესიულმა სტუდენტებმა საწარმოო პრაქტიკის დროს სრულად გამოიყენოს ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ხოლო გამოკითხულთა 17% (9) თანახმაა პროფესიულ სტუდენტებს მისცეს უფლება ნაწილობრივ გამოიყენოს. იხ. დიაგრამა #14


დიაგრამა #14: მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენება საწარმოო პრაქტიკის დროს



გამოკითხულ ორგანიზაციათა 62% (32) შეძლებს საწარმოო პრაქტიკაზე მიიღოს ერთიდან ხუთ პროფესიულ სტუდენტამდე, 19% (10) 6-დან 10 პროფესიულ


სტუდენტამდე მიიღებს, ხოლო 12-დან 20 პროფესიულ სტუდენტამდე მიღება შეუძლია გამოკითხულ ორგანიზაციათა 19%-ს (10). იხ. დიაგრამა #15

დიაგრამა #15: რამდენი სტუდენტის მიღება შეუძლია ორგანიზაციებს საწარმოო პრაქტიკაზე.




გამოკითხულ ორგანიზაციათა 77% (40) შეძლებს სტაჟირებაზე მიიღოს ერთიდან ხუთ პროფესიულ სტუდენტამდე, 17% (9) 6-დან 10 პროფესიულ სტუდენტამდე მიიღებს, ხოლო 12-დან 20 პროფესიულ სტუდენტამდე მიღება შეუძლია გამოკითხულ ორგანიზაციათა 6%-ს (3). იხ. დიაგრამა #16

დიაგრამა #16: ორგანიზაციების მხრიდან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების სტაჟირება




ჩატარებულმა კვლევამ უჩვენა, რომ გამოკითხული დამსაქმებლების 63%-ს (33) ჰყოლია ან ჰყავს დასაქმებული პროფესიული სტუდენტები ან კურსდამთავრებულები. ამჟამად კი მათ მხოლოდ 16%-ს ჰყავს სტაჟირებაზე/პრაქტიკაზე პროფესიული სტუდენტები ან კურსდამთავრებულები. ამ 52 დამსაქმებლიდან 11-ს (21%) მსგავსი პრაქტიკა არ ჰქონია იხ. დიაგრამა #17.

დიაგრამა #17: პროფესიული სტუდენტების ან კურსდამთავრებულების დასაქმების პრაქტიკა წარსულში ან ამჟამად/პროფესიული სტუდენტები ან კურსდამთავრებულების სტაჟირების პრაქტიკა ამჟამად, რომლებმაც ბოლო 2 წლის მანძილზე დაამთავრეს ბსუ.




გამოკითხული ორგანიზაციების 86% (45) აღნიშნავს, რომ მათთვის მნიშვნელოვანია პროფესიული კურსდამთავრებულების დასაქმება, 12 % (6) უჭირს პასუხის გაცემა, ხოლო 2% (1) ნაკლებად მნიშვნელოვანია. იხ. დიაგრამა #18.

დიაგრამა #18: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმება




ჩატარებულმა კვლევამ უჩვენა, რომ გამოკითხული დამსაქმებლების 87% (45) აღნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს პროგრამის გავლის შედეგად მიღებული ცოდნა და უნარები დაეხმარება დასაქმებაში, ხოლო 13% (7) კი ფიქრობს, რომ ნაწილობრივ დაეხმარება. იხ. დიაგრამა #19.

დიაგრამა #19: პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის გავლის შედეგად მიღებული ცოდნა და უნარები




დასაქმების მიზნით გამოკითხული ორგანიზაციების 97% (41) შეძლებს 1-5 კურსდამთავრებულის დასაქმებას, 11% (6) 6-10, ხოლო 10% (5) 11-20 კურსდამთავრებულის დასაქმებას. იხ. დიაგრამა #20.

დიაგრამა #20: ორგანიზაციების მხრიდან კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობა




გამოკითხულ დამსაქმებელთა აზრით პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულების თუ რომელი უნარ-ჩვევები საჭიროებენ გაუმჯობესებას შემდეგნაირად გადანაწილდა: 9% (30) ფიქრობს, რომ მნიშვნელოვანია გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება, 9% (30) - პრობლემის გადაჭრის უნარი, 9% (30) - უცხო ენების ფლობა, 8% (28) - პროფესიის შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება, 8% (27) - პასუხისმგებლობის გრძნობა, 7% (26) - უსაფრთხოების ნორმების დაცვა, 7% (25) - დროის მენეჯმენტი, 6% (22) - ორგანიზებულობა, 6% (22) გადაწყვეტილების მიღების უნარი, 6% (21) - სამუშაო რეჟიმთან ადაპტირება, 6% (20) - მოქცევის წესები და ეთიკური ქცევა, 6% (20) - საბაზისო კომპიუტერული უნარები, 5% (18) - საქმიანი ზეპირი კომუნიკაციის უნარი, 4% (14) - თვითპრეზენტაციის უნარი, 3% (13) წერიითი კომუნიკაციის უნარი. იხ. დიაგრამა #21.

დიაგრამა #21: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულების რომელი უნარ-ჩვევები საჭიროებს გაუმჯობესებას,




პოზიციები, რომლებზეც ორგანიზაციებს ექმნებათ კადრების მოზიდვის პრობლემა


დიაგრამა #22: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“




დიაგრამა #23: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“




დიაგრამა #24: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტრობა (საბაზო)“




დიაგრამა #25: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტრობა (საშუალო)“




დიაგრამა #26: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ტელეკომუნიკაცია“




დიაგრამა #27: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“




დიაგრამა #28: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მებაღეობა“



დიაგრამა #29: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“



დიაგრამა #30: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეფუტკრეობა“



დიაგრამა #31: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“

